პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მუშაკთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.

კომუნისტი ORGAN CENTRALNOGO i TBILISKOGO KOMITETOV KP (B) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYASCHIXSYA GRUZINSKOY SSR

ხუთშაბათი, 10 დეკემბერი, 1942 წ. № 291 (6607). ფასი 15 კაპ.

ᲩᲐᲛᲝᲒᲝᲕᲔᲚ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲛᲘᲡᲜᲝᲑᲐ

Დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო ამხანაგ ტალინის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად ტამბოვის ოლქის კოლმეურნე ქალებმა და კაცებმა მოაწყეს სახარების შეგროვება სტანსკოლონა „ტამბოველი კოლმეურნის“ ასაგებად. ორი კვირის განმავლობაში კოლმეურნეებმა 40 მილიონი მანეთი ნაღდი ფული შეიტანეს. სტანსკოლონისთვის სახსრების შეგროვება საკოლმეურნეო სოფლის საბჭოთა პატრიოტიზმის ბრწყინვალე დემონსტრაციად, სტანსკოლონა „ტამბოველი კოლმეურნის“ ასაგებად გადაიქცა.

ამხანაგმა ტალინმა ტამბოვის ოლქის კოლმეურნე ქალებსა და კაცებს უპასუხა საქ. კ. პ. (ბ) ტამბოვის საოლქო კომიტეტის მდივან ამხანაგ ეოლეოვის სახელზე გაგზავნილი დეპეშით:

„გადაეცით ტამბოვის ოლქის კოლმეურნე ქალებსა და კაცებს, რომელთაც 40 მილიონი მანეთი შეაგროვეს წითელი არმიის ფონდში „ტამბოველი კოლმეურნის“ სტანსკო კოლონის ასაგებად,—ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა“.

ტამბოველ კოლმეურნე ქალთა და კაცთა კეთილშობილური თაოსნობის ამბავს სიხარულითა და სიამაყით შეხვედის მთელი ჩვენი ქვეყანა. ამხანაგ სტალინის პასუხი პატრიოტული ენტუზიაზმის გრძნობას გამოიწვევს მთელ საბჭოთა კოლმეურნე გლეხობაში.

ტამბოველ კოლმეურნე ქალთა და კაცთა ინიციატივა მოწმობს მეიდრო, ურყევი კავშირის არსებობას საბჭოთა გლეხობასა და წითელ არმიას შორის. საოლქოს კომიტეტი სოფელი გულითადი, დიდმორავი სიყვარულით აღიარებს თვალყურს თავის შვილთა გმირულ ბრძოლას. მან ომში გაგზავნა ისინი. მან დალოცა ისინი, რომ თავდადებით დაიცვან სამშობლო. მას აწუხებს ის სიძნელეები, რომელთა გადალახვაც უხდება წითელ არმიას. ოჯი ბედნიერია და ამაყობს წითელი არმიის წარატაგებით.

საბჭოთა საკოლმეურნეო სოფელი პირნათლად ასრულებს თავის ვალს სამშობლოს წინაშე და ეხმარება წითელ არმიას. მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის შესახებ ამხანაგმა სტალინმა სთქვა, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს, ომიანობის დროის ყველა სიძნელეთა მიუხედავად, დამკმაყოფილებლად მუშაობენ, ნათესი ფართობები გადიდებულა, სამეშოდგომო ნათესი გადიდდა აღმოსავლეთში. „ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა,—აგრეთვე პატიოსნად და წესიერად ამარაგებენ მოსახლეობასა და წითელ არმიას სურსათით, ხოლო ჩვენს მრეწველობას—ნედლეულით“.

„ყურადღებით, აღფრთოვანებით მოისმინეს ეს სიტყვები საბჭოთა სოფელში. ეს სიტყვები გულში ჩაწერდათ კოლმეურნე ქალებსა და კაცებს. და მთელ ქვეყანასთან, წითელ არმიასთან კოლმეურნეთა ერთიანობის იმ დიდმა გრძნობამ, რომელიც ტამბოვის ოლქის გლეხებს დაებადათ, ბიძგი მისცა საბჭოთა პატრიოტზმის ბრწყინვალე დემონსტრაციას, სტანსკოლონა „ტამბოველი კოლმეურნის“ ასაგებად სახსრების შეგროვებას.

მამაცი ტანჯისტება სიამაყით ფიყვანენენ ბრძოლაში ამ კოლონას, რომელიც შექმნილია საბჭოთა გლეხობის შრომითი ფულით. დაე „ტამბოველი კოლმეურნე“ რიახვა გაბდეს გერმანელ დამპყრობთათვის! ბილწი ჰიტლერელები თავს ინუგეშებენენ ბინძური და სულელური ოცნებით, რომ საბჭოთა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს შორის განხეთქილება მოხდებოდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა ზურგი მტკიცე არ იქნებოდა, და ფიქრობდნენ, რომ პირველი სერიოზული .დარტყმისა და წითელი არმიის პირველი წარუმატებლობისთანავე დაიწყებოდა კოხფლიტები მუშებსა და გლეხებს შორის. ჰიტლერელებს იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა კლიდები უარს იტყოდნენ საკოლმეურეეო წყობილებაზე... აი ფაშისტი არაბუზიანათვის გასაგები პასუხი: „ტამბოველი კოლმეურნის“ ქვეშეხებით მტრებს —გერმანელებს—ცეცხლი!

გერმანელები ანგარიშში მოსტყუვდნენ. წელმწიფანხეთარია გრძელდება საბჭოთა ხალხის დიდი სამამული ომი გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მთელი საბჭოთა ხალხი შუბლიერი წითელი არმიისადმი თავისი ურყეული რწმენით ეხმარება მას გამხეცებული მტრის წინააღმდეგ ძნელ ბრძოლაში. მტკიცე საბჭოთა ზურგი საბჭოთა ფრონტის ურყეული დასაყრდენია. საკოლმეურნეო წყობილების სიმტკიცე მაგარი ზურგის ერთერთი საფუძველია.

40 მილიონი მანეთი შეაგროვეს ტამბოველმა კოლმეურნე ქალებმა და კაცებმა ორი კვირის განმავლობაში. თავიანთი დოვლათიდან იძლეოდნენ საბჭოთა ვლეხები ამ სახსრის. კოლმეურნეობებს ბევრი რამ აქვთ, რაც შეუძლიათ გაუზიარონ მშობლიურ წითელ არმიას. ამაოდ არ ჩაუფლია პატიოსანი საკოლმეურნეო შრომის წლებს. მტკიცედ დადგა საკუთარ ფეხზე საბჭოთა სოფელი, რომელიც სრულ მუშაობდა ბრძოლითოვა ომის შიშმილს. მართალია, მან სამშობლოს დასაკეთად გაგზავნა წითელ არმიაში მრავალი მოზრდილი შეშვი, მაგრამ იგი არ დასუსტებულა, არ შეუმცირებია პურის მოყვანა. არა, საბჭოთა ქვეყნისათვის სერიოზული განსაცდელის ჟამს საკოლმეურნეო სოფელმა გაორმაკეცა თავისი ღონისძიებანი, საკოლმეურნეო წყობილება იძლევა ამის შესაძლებლობას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას. და ახლა საბჭოთა გლეხობა მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგა, როგორც სრულიად ახალი გლეხობა, როგორიც კაცობრობის ისტორიას არასოდეს არ სცოდნია,—გლეხობა ძლიერი, მთელ ჩვენს ქვეყანასთან განუყოფლად დაკავშირებული, მხურვალე პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული, სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის შემსრულებელი.

მაგრად გაიდგა ფესვები საკოლმეურნეო წყობილებამ საბჭოთა მიწაზე. გერმანელი ღორი ვერ გამოუთხრის ძირს საბჭოთა საკოლმეურნეო მუხას! საკოლმეურნეო სოფელი კიდევ უფრო ძ�დაა, კიდევ უფრო მშობლიური გახდა საბჭოთა გლეხთათვის მას შემდეგ, რაც საზიზღრარმა, უსინდისო მტრებმა აუწურეულ წამებათ ჩაავდეს გლეხები დროებით დაპყრობილ საბჭოთა რაიონებში. საშინელი ამბები მოდის ოკუპან. მძარცველი გერმანელები, ჯალათი გერმანელები, ბანდიტი გერმანელები საბოტე, პირფშვნილად ანადგურებენ საბჭოთა სოფლებს. ისინი დაუნდობლად ხოცავენ, აწამებენ სოფლის კოლმეურნე აქტივისტებს, აუპატიურებენ კოლმეურნე ქალებს, გერმანელები განსაკუთრებული ზიზღით ეპყრობიან პატიოსან კოლმეურნე ქალებსა და კაცებს. ისინი სპობენ კოლმეურეობებს, აწგრეკენ, სწვავენ საზოგადო შენობებს, სოფლებს, კლუბებს, სანიმუშო ფერმებს—ყოველსაე, რაც ასეთი სიყვარულით აუგიათ საბჭოთა გლეხებს.

გერმანელმა დამპყრობლებმა ბერმანიიდან მოჰყარეს შემამულები და მმართველები. ისინი ცდილობენ მონებად გაიხადონ კოლმეურნე ქალები და კაცები. არაბმზადები გუთანნი, სიზიზღარში აბამენ საბჭოთა ადამიანებს, მათრახს ურტყამენ მათ, საზიზღარ თავშესაქცევად გაუხდიათ ქალის ნამუსი. მათ მონებად მიჰყავთ საბჭოთა ადამიანები, როგორც პირტყ

ი...

უსაზღვრო სიძულვილით ვსუბნა ვული საბჭოთა კოლმეურნეს, როცა ეს ესმის. ზეყვავკოულვა და სიკეთილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს, მათს სახელფფოს, მათს არმიას!—იმეორებს იგი ამხანაგ სტალინის მოწოდებას. სტანსკ კოლონა „ტამბოველი კოლმეურნე“ შუოს ოქიებს გერმანელებზე მთელი მათი ბოროტმოქმედებისათვის.

კარგი, კეთილშობილური საქმე გაკეთეს ტამბოველმა კოლმეურნე ქალებმა და კაცებმა. მათი მაგალითი აღფრთოვანებს საბჭოთა ქვეყნის ყველა კოლმეურნეს. იგი უაღრესად მხურვალე გამოხმაურებას პპოვებს მთელს ჩვენს ქვეყანაში. სიამაყით შეხვდებან ტამბოველთა თაოსნობის ამბავს წითელი არმის რიგებში მყოფი მათი თანამემამულენი.

ტამბოველ კოლმეურნე ქალთა და კაცთა პატრიოტული თაოსნობა ბრწყინვალედ მოწმობს ზურგისა და ფრონტის საბრძოლო ერთიანობას სამამულო ომში. კიდევ უფრო ძლიერ, კიდევ უფრო ერთსულოვანი იმეშონ ზურგში, რათა კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო ერთსულოვანი იყოს წითელი არმიის დარტყმები,—ამისაკენ მოუწოდებს ყველა კოლმეურნე ქალსა და კაცს, ყველა საბჭოთა ადამიანს ტამბოველი ამხანაგების კეთილშობილური მაგალითი!

„პრავდა“ « მოწინავე, 9/XII.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გადადების შესახებ

გადადებულ იქნას 1943 წლის დეკემბრამდე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები და გაგრძელდეს ამ ვადით სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს რწმუნებულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 9 დეკემბერი.

ᲓᲔᲪᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Გ. Ნ. ᲡᲐᲠᲐᲜᲡᲙᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲯᲘᲚᲓᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათ დამსახურებული მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი გეორგი ნესტორის-ძე სარანსკი დედნის და ბავშვობის დაცვის მოწოდის საქმეში ეფექტიანი ღვაწლისთვის და ბავშვთა ჯანადგინის შესაძენადად გაწეული დიდი შეუსობისათვის დაჯილდოებულია **ლენინის ორდენით.**

ᲨᲘᲨᲓᲔᲤᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲛᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲔᲚᲘᲡ Ს. Ნ. ᲘᲜᲘᲜᲘᲡ-ᲛᲔᲥᲔᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲒᲝᲚᲐ

დეკემბერში განვავითაროთ და ვამრავლოთ ნოემბრის წარმატებანი! ვაღადგინოთ ნლიური გეგმები ფრონტის დასახმარებლად!

საწარმოო აღმავლობა თბილისის საორთქლმავლო დეპოში

გმირ, წითელ არმიის მორიგ გამარჯვებებს, თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ახალახალი წარმატებებით უსასუხებს. დეპოს ყველა საამქროს ნოემბრის გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა, ასე, მაგალითად, შეკნიერების საამქროს (უფროსი, დ. შათირიშვილი) ნოემბრის გეგმა შესრულდა 295,6 პროცენტით, შემდეგებისა საამქროს (უფროსი ი. ხუხენი) —277,8 პროცენტით, დამამზადებელნა საამქროს (უფროსი ი. ყაჯაძე)—210 პროცენტით და ა. შ.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ამხ. პ. იეფიმოკოს ბრიგადამ, რომელსაც ამხანაგ სტალინის მოწოდების სასახუოდ აღებული ვალდებულების პირნათლად განაღდება და ნოემბრის გეგმა 344,9 პროცენტით შესასრულა; სახარატო - საამქროს სტახანოვცელნა ამხ. ე. ეფრაფონმა, რომელიც გეგმებს ყოველთვიურად 750-800 პროცენტით ასრულებს, ნოემბრის გეგმა 853,3 პროცენტით შესასრულა.

ქარხანა „შროშის“ წარმადგება

ძირულის ცეცხლგამძლე აგურის ქარხანა „შროშის“ კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ნოემბრის გეგმა 146,8 პროცენტით შესასრულა, გამოუშვა პირველი ხარისხის პროდუქცია 52,7 პროცენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 პროცენტისა, გასწია სათბობის ეკონომია 4,7 პროცენტის რაოდენობით.

სსრ კავშირის საშშ-ნებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და საკავშირო პროფსაბჭომ ქარხანა „შროშას“ (დირექტორი, ამხ. ინგოროყვა, პარტბიუროს მდივანი ამხ. ჩანკვეტაძე) სეტყმბრისა და ოქტომბრის მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში მესამე ადგილი მიაკუთვნეს და დაფიცილოდოდ ფულადი პრემიით, სეტყმბერში 15 ათასი, ოღონ ოქტომბერში— 10 ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ საშშ-ნებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველის რუსუმეოლეოსმა ეროშინამ ქარხანა „შროშას“ გადასცა მთავარი სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა. ქარხნის ოთხი საუკეთესო სტახანოველი წარდგენილია „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშნით დასაჯილდოებლად.

ქარხანამ საერთო პროდუქციის წლიური გეგმა უკვე გადაჭარბებით შესასრულა. ამავეშიგ ქარხანა „შროშა“ კვლავ წარდგენილია სსრ კავშირის, საამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის ჯილდოზე.

დიდი მეცადინეობა — ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებანი და გმირი წითელი არმიის წარმატებათა შეტევის სასახუოდ ქარხნის კოლექტივი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლილ, დღეკმბერში კვლავ ფრონტულად იბრძვის პირველობის მო